

რედაქცია


მელიამინოვის ქუჩაზე, პრეტვი ჩაიგეშტოვის სახლში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Вь Тифлисъ. Вь редакцию газеты „Дრობა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შუტრი.



განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების-ფარ-ნიშნისა

დღი ასობით, ასობე — 1 კაპ., ასობითაფრულით, კრიტიკონზე — 8 კაპ., ციკლოთი. სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

მთ. სპეციალობა მოიხსოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა, აღუბუკდელი სტატია ავტორს არ თაუბრუნდება.

გამოდის კვირაობით. ოთხშაბათობით და კარასკობით

ხელის-მოწერა 1876 წლისა

ამ 1876 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა იმავე პროგრამითა და მიმართულებით, როგორც წარსულს 1875 წელს გამოდიოდა.

რედაქცია ეცდება მხოლოდ, რომ, რამდენათაც იმისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მისცემენ, კიდევ უფრო საინტერესო, უფრო სასარგებლო და საჭირო განხდოს თავის გაზეთი მკითხველებსათვის.

ხელის-მოწერა მიიღება თ ფ ი ლ ი ს შ ი — „დროების“ რედაქციის კანტორაში (მელიამინოვის ქუჩაზე, პრეტვი ჩაიგეშტოვის სახლში) და აგრეთვე სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე, ამატუნის სახლში).

ზარეშე მცხოვრებთა თავიანთი მოთხოვნითა ამ აღრესით უნდა გამოგზავნონ: Вь Тифлисъ, въ редакцию газеты „Др о б а“.

სხვა ქალაქებში „დროებაზე“ ხელის-მოწერა შემდეგ პირობათნ შეიძლება:

ქუთაისში — ივანე მესხთან და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში, შოთში — შოტ. ს. ბაბალოვთან, ახალ სენაქს — ნიკ. ღვებუაძესთან, ზუგდიდს — თ. შარ. ალიქ. ლადიანთან, ოსურბეთს — თ. ანტ. ნაკაშიძესთან, ყვირილაში — მ. ღვ. ლაშაშიძესთან, გორს — მასილ ღვ. კანოზოვთან, სიღნაღს — იოსებ სულხანოვთან და თელავს — თ. ლევან ზანდიერთან.

Table with 3 columns: Subscription type, Amount in man, Amount in kopecks.

ამჟამ საჭიროსი ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ ამ 1876 წლიდან გაზეთი ნისინათ არავის არ გააგზავნება გარდა იმ პირობისა, რომელთათვის პასუხის-გებას თვითონ „დროების“ აგენტები იპი სრამენ.

მთხოვთ ჩვენ მომავალ ხელის-მომწერლებს, რომ თავიანთი მოთხოვნითა დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი აღრესების დაბეჭდვა დაგვიანდება; ვითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერთა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით იყოს დაწერილი.

საქართველო

არხმოლოგიური საზოგადოება

ბი საზოგადოება კარგის ჰაზრითა და კეთილის მიზნით დაარსებული. დიდი ხანია დრო იყო ამისთანა საზოგადოების დაარსება ჩვენს ქვეყანაში, სადაც იბრუნება აუარებელი ნანგრევი და ნიეთი — მოწამე ჩვენი წარსულის ცხოვრებისა, სადაც თითქმის დედა-მიწის ყველა ხალხებს გაუფლია და იმათ ნაშთსა და კვალს ყოველს ნაბიჯზე ნახავთ.

შველა ამ ძველ ნიეთებს, წიგნებს, ნანგრევებს, რალა თქმა უნდა, დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, არათუ მარტო ჩვენთვის, რომელნიც ასე ღარიბნი ვართ საქართველოს ძველი ისტორიის მასალებითა, არამედ თვით სხვა ხალხების ისტორიისთვისაც.

ბი ამისთვისაც ჩვენ დიდის სიამოვნებით ვაცნობთ ჩვენს მკითხველებს, როცა ამ სამი წლის წინათ შემოხსენებული არხეოლოგიური საზოგადოება დაარსდა ჩვენს ქალაქში. მთქრობდით: ეს საზოგადოება ვალდებული იქნება სხვა და სხვა უმეცარი, ხარბი და მტაცებელი ხალხისაგან დაიცავს ჩვენ ძველთაგან დატოვებულს არხეოლოგიურ სიმდიდრეს, დაიცავს უბრალოდ არის ძველს ნიეთს და შენობას, თუ ღარწმუნ-

დება, რომ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს ხალხის ძველი ცხოვრების, ხელობის, ხასიათის და სხვ. გასაცნობად.

საუბედუროთ, ეს ჩვენი მოლოდინი არ ასრულდა. ამ სამი წლის განმავლობაში, საზოგადოებას ამ მხრით თითქმის არა გაუკეთებია რა: მოხანსტრების ძვირფასი ძველი მართიანები, ნიეთები და წიგნები იკარგებ, ძველს მხატვრობას და ნანგრევებს კაცი ყურადღებას არ აქცევს და თან-და-თან ფუტკდება და ისპობა, ჩნდება ვიღაც მაწანწალა — ჩორჩის მსგავსი — ვითომ — არხეოლოგები, რომელნიც სტყუებენ ხალხს ძველს ნიეთებსა, — და არხეოლოგიური საზოგადოება კი გაჩუმებულია, თითქო ყველა ეს იმას არ შეეხება, თითქო დიხის პირ-და-პირი მოვალეობა ის არ იყოს, რომ ყველა ამგვარ ნიეთებს, თვითონ თუ არ იკვლევს, მომავალი თაობისთვის დაიცავს მაინცა.

საულოად თანახმა ვართ იმ ჰაზრისა, რომელიც ამ საზოგადოების უკანასკნელს (27 იანვარს) სხდომაზე გამოხსტქვა ერთმა წევრმა, — რომ საზოგადოებამ მთელი თავის ყურადღება ამ ჟამად მხოლოდ იმას უნდა მიაქციოს, რომ ყოველი ძველი შენობა, ნანგრევი, მხატვრობა, წიგნი ან ნიეთი, რასაც კი რაიმე არხეოლოგიური მნიშვნელობა აქვს, დაიცავს მოტაცებისა და გაფუჭებისაგან, და ამ გვარი მიმართულება ჩვენის საზოგადოებისა ბევრად უფრო სასარგებლო იქნება, ვიდრე მსხვა და სხვა სამეცნიერო გამოკვლევა და ძვირფასი წიგნების გამოცემოა.

საზოგადოებამ მიიღო ეს რჩევა და უფ. ბ. ნ. ჰაზიბებს მიანდო ამ ჰაზრით მოხსენების შედგენა და საზოგადოების კომიტეტში წარდგენა. ამბობენ, საზოგადოება აპირებს აღმანისტრაციასა და სამღვდლოებას სთხოვოს, რომ ამ საქმეში, ამ არხეოლოგიური საგნების დაცვაში დაენმარონ საზოგადოებას.

ჩვენის ჰაზრით, ძველსიის არხეოლოგიური საზოგადოება თავის მიზნის უმთავრეს ნაწილს ასრულებს, თუ ამ გზაზე დადგება და ბეჯითად, ენერგიულად იმუშავებს...

დღიური

მობუღეთილამ მოგვივიდა ამბავი, რომ აქაური ხალხი ჯერ კიდევ არ დამშვიდებულაო, დელავსო და დიდ უკმაყოფილებას აცხადებს მსმალოს მმართველობაზედაო. მართი ნაბერწ-

კალი სკმაროაო, ამბობს ჩვენი ბათუმელი კორრესპონდენტი, რომ მთელი მობუღეთი, როგორც ერთი ქაი, ისე აღსდგეს და მსმალოს გაუდგესო...

ბასულ ხუთშაბათს, 29 იანვარს, ძველსიის მუზიკალურ საზოგადოების ზალაში ქართულს სალიტერატურო საღამოზე დავსწარიო. როგორც გამოცხადებული იყო, ჩვენი საუკეთესო წამკითხველები იღებდნენ ამ საღამოში მონაწილეობას და ამის გამო საზოგადოებამ წამდელი სიამოვნებითა და კმაყოფილებით გაატარა საღამო.

ბავიგონეთ მუდამ საამო სასმენელი სცენების კითხვა უფ. აკაკი წერეთლისა, ლექსების კითხვა ილ. ჭავჭავაძისა და სხვ.

მაგრამ ყველაზე უფრო მომეტებული ყურადღება და ტაში ამ საღამოს უფ. მტლია ბებურეშვილმა დამსახურა თავის გურული სცენების არტისტიულად წაკითხვით.

ამ დიდ-მარხვაში „თფილისის წრე“ თავის ზალაში საზოგადო ლექციებს გვიმზადებს ქალაქელებს. როგორც ამბობენ, სულ 30 ლექციაზე მეტი უნდა წაკითხონო; ამათში:

უფ. ბ. ლ. ლოლაბეიოძემ — ასტროლოგიაზე,

უფ. ი. დ. ბოკიმ — ქიმიზე,

უფ. ი. ი. სტეიბიციკიმ — პლანეტის ვიქორის იზის დიკზე ვადასვლაზე,

უფ. ვ. ი. მარაპაევმა — სპექტრალურ ანალიზზე და,

უფ. ი. ი. მალინიამა — თამბაქოს და სპირტის სასმელებზე.

როგორც ჰხდავთ, სწორეთ წამდელი საღამო-მარხეო საგნებია წასაკითხავთ ამორჩეული...

ჩვენ გვითხრეს, რომ ძახეთში ღორის მოშენება მოდათ შემოსულა: ერთი ვიღაც რუსი ერთს კახელ მემამულეს მემახანაგებია, საღორე გაუკეთებიათ, ექვს-რვა მანეთად ჰყიდულობენ თურმე თითო ღორს, ერთს თვეს გაუწრეველად დაამწყვდევენ და შემდეგ სიმინდითა და რკოთ ისე გაასუქებენ თურმე, რომ ქალაქში 15-20 მანეთად ჰყიდიან.

ამ მაგალითით წაქეზებული სხვა ადგილობრივი მემამულეებიც ღორის მოშენების მეტზე ახლა აღარაფერზე აღარ ჰფიქრობენო!...

წლევანდელი წლიდამ ახალი სასართლოები შემოიღეს. დადესტნის მხარეში დ. მ. ძველსიის ნამესტნიკის







ტ.ნ.მარათაშვილისაკან

ბამოვილა და იქიდება — თქილისში შემდეგ წიგნების მალაზინებში: ბამონშტამის — ბოლოვინის პროსპექტზე, ვარტანოვის და კა...

ფასი ყველგან ერთი აბაზი

3-2

ყველიანის კვირაში, ხუთაბათს, პარასკევსა და შაბათს 12, 13 და 14 თებერვალს, დილის 11 საათიდან

თფილისში, დიდი ძნიაგინას ოლგა თეოდორეს ასულის საქალაქო ბიშნაზიის სალაში იქნება

თავაში

უმაღლესად ნებატოვლის ლატარქისა სასარგებლოდ

ძვეკასიის აქეთა და იქით მხრის კათილ მომავად და აღმზრდელ დაწესებულებისა, რომელნიც არიან დიდი ძნიაგინასი ოლგა თეოდორეს ასულის უფესტრატეს მზრუნველობის ქვეშ.

იმ დაწესებათა და პირთ, რომელთაც კეთილინებებს ამ ლატარქისთვის ბილეთების გასაღება და რომელთაც ჯერ არ შემოუტანიათ ფული, ძამიტეტი სთხოვს წარმოადგინონ ფულები ლატარქის ძამიტეტში, თფილისში არა უგვიანეს 1 თებერვლისა.

ბაუყიდელი ბილეთები თამაშის წინ ღვემდრი მიიღება საქალბო ბიშნაზიაში, სადაც გამოფენაა.

თამაშის (ტირაჟის) ღვეს და აგრეთვე შემდეგ, ვინც რას მოიგებს, იმწამსვე მიეცემა მოგებული ნივთი, როგორც ლატარქის ბილეთს წარადგენ.

1876 წ. 7 იანვრიდან ქ. მუთაისში გაიხსნა, მმართველობის ნებართვით, ვაჟბისთვის ერთ-კლასიანი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი პანსიონით.

ფასი უკოლაში მოსიარულე ყმაწვილებისთვის წელიწადში თითოზე 40 მან. და პანსიონერებისთვის 250 ან 300 მან.

პანსიონერს, რომელიც იხდის წელიწადში 250 მან., უნდა ჰქონდეს თავისი: ორი ტანისამოსი — საზამთრო და საზაფხულო, სამი პერანგი და მისი ამხანაგი, ფეხსაცმელი, კრატი, ლეიბი, ბალიში, ხალიჩა, მუთაქა, ორი ბალიშის პირი და ორი ზეწარი.

პანსიონერს, რომელიც იხდის წელიწადში 300 მან., მხოლოდ პირველს მისელოზე უნდა მოჰყვეს ყველაფერი ტანისამოსი და ქვეშაგები; ხოლო შემდეგში ამ 300 მან. ყოველ-გვარი ხარჯი იქნება სასწავლებლის მზრუნველზე.

ვინც 250 მან. იხდის, იმან აგრეთვე უნდა იქონიოს ყოველთვის თავისი სახელმძღვანელო ნივთები (წიგნები და სხვა).

ფულის შემოტანა შეიძლება ნახევარ წლობით: პირველი ნახევარი ფასისა შემოხვლისათნავე და მეორე ნახევარი ექვსი თვის შემდეგ.

ალექსი ზივინაძე

LA VELOUTINE (ველუტინი) ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული. იქეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს. პანს ეკერება და არა სჩანს. შ. ძ ა ი — გამომგონი. pommade satin (ატლანის კომადა) ხელების კანის რბილად შესანახად; ზამთარში არ დაუკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს. 9, Rue de la Paix, Paris 156-8

დაიბეჭდა და ისყიდება თამარ სამართავლოს ბატონისუვილის ისტორიული რომანი ბ. რჩეულოვისა. თფილისში: მედიკიშვილის და ამხ. სტამბაში და მწფაჯიანცი-წიგნის მაღაზიაში. ფასი ყველგან ექვსი შაური.

საუკეთესო საშუალება

თაგეების, ვირ-თაგეებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად რის ბუტმანი, ქიმიკოსი პეშტიტამ,

იმაპარატორის



სასახლის მიჯარადრა

რომელსაც პრივილეგია აქვს ბისაგან.

უცხო ქვეყნების სასახლეე-

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოეჭრებებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგეების, ვირთაგეებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინჭელების და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს მეროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.

1872 წლის მოსკოვის პოლიტექნიკურგამოფენისდროს ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდი



ვერცხლის მედალი მიიღე და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელსა.

ბამომგონი პასუხს აგებს ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაქლბ ფასად დაუთმობენ. პაპის-კურანტი:



წამალი თაგეებისა, ვირთაგეებისა და მზუნველისათვის — 1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭელებისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის მზაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. ტედლის-ტილის წამალი — 1 მან.; სასიამოვნო სუნის აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაახმენ დაბერებული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა — 60 კაპ.



შეთავრების დეპოარის თფილისში, დეორცოვის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; ვლადიკავკაზში, სეგალთან, ალექსანდროვისკის პროსპექტზე, ლებედვის სახლში; სტავროპოლში — ტურილიჩენკოსთან.

ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. აქვე იხყიდება თვის საღებავი. 54-4

Table with columns: რ. შ. ა., დილა, საღამო, II კ., III კ., ცეცხლის გვერები, ფოშა, ბირჟა, მან. კაპ, მაზანდა, მან. კაპ. Rows include various items like 'თფილისი', 'მცხეთა', 'ბორი', 'ხაშური', 'მუთაისი', 'სამტრედია', 'ახ. სენაკი', 'შოთი', 'ახ. სენაკი', 'სამტრედია', 'მუთაისი', 'შვირილა', 'ბეჟათუბანი', 'ხაშური', 'ბორი', 'მცხეთა', 'თფილისი'.